დ.ჰ. ლოურენსი

D. H. LAWRENCE

ფსიქოანალიზი და არაცნობიერი

Psychoanalysis and the unconscious

თარგმანი ინგლისური ენიდან
ეკუთვნის გია ბერაძეს

გამომცემლობა „აქტი“
თბილისი / 2025

წინამდებარე წიგნი წარმოადგენს ფსიქოანალიზის გადაიზრების შესაძლებლობას. მასში არ გვხვდება არაცნობიერის სტანდარტული აღწერა, არამედ ავტორი საშუალებას გვაძლევს დავფიქრდეთ არაცნობიერის იმ პოზიტიურ და უარყოფით გავლენებზე, რითაც შესაძლებელი ხდება ჩვენი ფსიქიკისა და ცხოვრების წარმართვა. თუ აქამდე, ფროიდის ფსიქოლოგიის მიხედვით, ჩვენთვის ცნობილი იყო არაცნობიერის მხოლოდ უარყოფითი მხარეები, ამ წიგნში განხილულია მისი დადებითი მახასიათებლებიც. ავტორს კარგად აქვს ახსნილი არაცნობიერის არსი, მისი მნიშვნელობა და გავლენა ადამიანის ფსიქიკასა და ცხოვრებაზე.

ამ წიგნით მკითხველს საშუალება ეძლევა გაეცნოს და გადაიაზროს ცნობიერებისა და არაცნობიერის მნიშვნელობა და რაობა.

მთარგმნელი: გია ბერაძე
კორექტორი: ნინო ჯავახიშვილი
დიზაინი: ეკატერინე აფხაძე
გამომცემელი: გიზო ცაცუა

მესამე გამოცემა

გამომცემლობა „აქტი“, 2025
ვებგვერდი: AKTI.GE

© გამომცემლობა „აქტი“

ISBN 978-9941-8-8315-6

სარჩევი

ავტორის შესახებ.....5

წინასიტყვაობა.....6
თავი I. ფსიქოანალიზი მორალის წინააღმდეგ.....7
თავი II. ინცესტუალური მოტივაცია და იდეალიზმი.....21
თავი III. ცნობიერების დაბადება.....35
თავი IV. ბავშვი და დედა.....49
თავი V. ვისაც უყვარს და ვინც უყვართ.....63
თავი VI. ადამიანური ურთიერთობები და არაცნობიერი.....77

„აქტი“-ს მიერ გამოცემული დ.ჰ. ლოურენსის წიგნები.....93

ავტორის შესახებ

მთარგმნელი

XX საუკუნის დასაწყისის დიდი ინგლისელი მწერალი დევიდ ჰერბერტ ლოურენსი 1885 წელს დაიბადა ისტვუდში და გარდაიცვალა 1930 წელს ვანსში (საფრანგეთი). წერდა რომანებს, მოთხრობებს, ლექსებს, ესსეებს. მისი ყველაზე ცნობილი რომანებია: „ვაჟები და საყვარლები“, „ცისარტყელა“, „შეყვარებული ქალები“, „ლედი ჩატერლეის საყვარელი“. ლოურენსი თავის ნაწარმოებებში ილაშქრებს ვიქტორიანული მორალის წინააღმდეგ. ავტორის მიხედვით, ადამიანის სიმწიფე და სიბრძნე არის უარის თქმა XIX საუკუნის რაციონალიზმზე. მწერლის რამდენიმე წიგნის, მათ შორის „ლედი ჩატერლეის საყვარელი“-ს გამოცემა ხანგრძლივი დროის განმავლობაში აკრძალული იყო, იმ დროისთვის მეტისმეტად ღია სექსუალური სცენების გამო.

ფილოსოფიური ესსეით – „ფსიქოანალიზი და არაცნობიერი“ დიდი ინგლისელი მწერალი სრულიად მოულოდნელი კუთხით წარმოგვიდგება. მკითხველზე ზემოქმედების თვალსაზრისით, ლოურენსის ესსეები დამაჯერებელი არგუმენტებითა და გამბედაობით ტოლს არ უდებს მის სახელგანთქმულ რომანებს. ეს ტექსტები გვაკვირვებს, თავზარს გვცემს და კიდევ ერთხელ ადასტურებს ლოურენსის, როგორც მწერლის რეპუტაციას, რომელსაც მუდამ აქვს მკითხველისთვის სათქმელი რაღაც ახალი და ორიგინალური.

წინასიტყვაობა

ავტორი

ჩვენი ცოდნის საუკეთესო ნაწილი, ეს არის ცოდნა შეუცნობლისა და ჩაუწვდომლის შესახებ. ჩვენ ვიცით, რომ მზე არსებობს, მაგრამ არ შეგვიძლია მას ჩავწვდეთ, თუმცა მოიფიქრეს თეორია რაღაც ალმოდებულ გაზებსა და სხვა მიზეზ-შედეგობრივ აბდაუბდაზე. მაშინაც კი, თუ ჩვენ ჩამოგვიყალიბდა მეტ-ნაკლებად მწყობრი სისტემა თეორიული ცნებებისა მზის, როგორც მდუღარე გაზის სფეროს შესახებ, მაინც ვერაფრით შევძლებთ თუნდაც შორეულად წარმოვიდგინოთ ეს დუღილი, ეს ბობოქარი ალი.

საკმარისია, ფსიქოანალიზის სატყუარა ჩავყლაპოთ, რომ ამორალობის ანკესზე აღმოვჩნდებით.

ცოდნა, რომელიც მხოლოდ განსჯით წარმოდგენებს ემყარება, უკეთეს შემთხვევაში, შეიძლება იყოს მხოლოდ ისეთი სახის ცოდნა, რომელსაც პავლე მოციქული „ნაწილობრივ ცოდნას“ ეძახდა. უპირისპირებდა რა მას სრულ, „სრულყოფილ“ და გამოცდილების სისრულესთან მისვლის შეუძლებლობის გამო, მუდამ მიუწვდომელ ცოდნას. ეს უდავოდ გახლავთ ნებისმიერი სრული ცოდნის ნიშანი: ის ძირითადად არაცნობიერის სფეროში იმყოფება, მისი ის ნაწილი კი, რომელიც გონების თუ ცნობიერების ზედაპირზე „ამოდის“, არის უბადრუკი გამონაწური მისგან, მისი მკრთალი აჩრდილი.

თავი I: ფსიქოანალიზი მორალის წინააღმდეგ

ფსიქოანალიზმა სიურპრიზების მთელი რიგი შემოგვთავაზა. ჩვენი გაოცებული მზერის წინაშე გადაიშალა შეხედულებების მძვინვარე ევოლუცია, რაც სულაც არ ხდება მისი გავლენის გარეშე. და ჩვენ, არცთუ მალე, აღარ გაგვიკვირდება, რომ ის, ვინც გუშინ ერთს ამბობდა, დღეს სრულიად მის საპირისპიროს ამტკიცებს.

ვერც კი მოვასწარით ფსიქიატრიის შამანების მანიპულაციებს შევჩვეოდით, (იმას, თუ როგორ მძვინვარედ და დაუცხრომლად ეძებენ ისინი ყველგან სექსის გველს, ნებისმიერი ჩვენი ქმედებისა და საქციელის ფესვებს რომ შემოხვევია გარს), ვერ მოვასწარით გვეგრძნო უხერხულობა ჩვენში ჩამალული ფარული კომპლექსების გამო, რომ მაშინვე სცენაზე გამოვიდნენ ბატონი ფსიქიატრები „წმინდა ფსიქოლოგიის“ თეორიით. შვებით ამოისუნთქა მედიკოსთა საძმომ, ყველა იმ მკურნალმა, რომლებიც ამასწინანდელი თერაპევტული ინოვაციებისაგან ფართხალებდნენ და ტრიალებდნენ, როგორც გველთევზები ტაფაზე. ახლა ისინი, გაბოროტებულები, ემზადებიან იმის დასაკვირვებლად, თუ რო-

გორ მოიქცევიან პროფესიონალი ფსიქოლოგები, როცა მიწა დაიწვება მათ ფერხთქვეშ. მაგრამ, ეს ჯერ კიდევ არ არის დასასრული. უკვე ეთნოლოგის ყურებში ჟღერს, ფილოსოფოსს პულსი უჩქარდება, გაღიზიანებულმა მორალისტმა კი იგრძნო, რომ ვალდებულია ჩხუბში ჩაებას, რადგან იმ დროისათვის, როცა მან ეს იგრძნო, ფსიქოანალიზი მართლაც რომ საფრთხედ იქცა საზოგადოებრივი მორალისათვის. მასები აფორიაქდნენ. ოიდიპოსის კომპლექსი დიასახლისების ყოველდღიური სალაპარაკო თემა გახდა, ინცესტი სუფრასთან სამეტყველო პრაქტიკაში დამკვიდრდა, სამოყვარულო ფსიქოანალიზი კი – მოდის უკანასკნელ სიტყვად იქცა.

– დაიცადე, ფსიქოანალიზის მეთოდით ყველაფერს გავარკვევ შენ შესახებ, – ეუბნება ერთი კაცი მეორეს სხვადასხვა ინტონაციით. ავისმომასწავებელი მზერით გიყურებენ თვალები „განდობილისა“ – ცნობილის თუ უცნობის – ფროიდისტული მზერა. ის გპოულობთ ყველგან, სადაც არ უნდა ეცადოთ დამალვას.

თვითონ, ფსიქოანალიტიკოსებმა მშვენივრად იციან საითკენ ისწრაფვიან, საითკენ მიჰყავთ საქმე. თავდაპირველად, ისინი ჩვენს ცხოვრებაში შემოიჭრნენ, როგორც ექიმები და მკურნალები, შემდეგ გათამამდნენ – ავტორიტეტი დაიმკვიდრეს მეცნიერებაში, მოგვიანებით კი, მოციქულებად იქცნენ. განა, გამუდმებით არ გვესმის და არ ვხედავთ ყველგანმყოფ იუნგს, „მარადიულ ჭეშმარიტებებს“ რომ გვიქადაგებს?! განა, აუცილებელია, წინასწარმეტყველი იყო რათა დაინახო ფროიდი უკვე ზღურბლთან რომ დგას იმისა, რასაც ეწოდება Weltanschauung[1] ან, სულ ცოტა Menschan-

1. Weltanschauung (გერმ.) – მსოფლმხედველობა.

schauung[2] მაინც, რომელიც სინამდვილეში კიდევ უფრო სახიფათოა?

რა უშლის მას ხელს ამ ზღურბლს გადააბიჯოს?! ორი რამ: პირველი – მორალური მხარე და მეორე, – გაცილებით მნიშვნელოვანი – მას ვერ მიუგნია იმ ქვაკუთხედისთვის, რომელზეც უნდა ააშენოს თავისი ეკლესია.

თავად განსაჯეთ. გაჩნდა ახალი დოქტრინა – სწორედ რომ დოქტრინა, ოდნავაც არანაკლები. ის მალულად შემოიპარა ჩვენს ცხოვრებაში და მას მცირე დოზებით შეგვაჩვიეს, როგორც ნარკოტიკს. საკუთარ თავს უნდა ავუხსნათ, რომ ჩვენს დეკადენტურ საზოგადოებაში მღვდლები ექიმებმა შეცვალეს და კიდევ უფრო უარესი – მათი ახალი დოქტრინა ჩვენთვის პანაცეად[3] იქცა. ჰოდა, ფსიქოანალიზმა მთლიანად გამოიყენა ის შესაძლებლობა, რომელიც ასეთმა მდგომარეობამ მისცა.

და, აქ პირველი და მთავარი საკითხია მორალის საკითხი. ჩვენ არ ვგულისხმობთ მორალის რეფორმას ან რაღაც ახალ მორალურ ფასეულობებს. ლაპარაკია მორალის, როგორც ასეთის, სიკვდილ-სიცოცხლის საკითხზე. წამყვან ფსიქოანალიტიკოსებს მშვენივრად ესმით რაზე აღმართეს ხელი, მაშინ, როცა მათი მიმდევრების უმრავლესობა, ამ თვალსაზრისით, ჯერ კიდევ სრულ უმეცრებაში იმყოფება და ამდენად ფსევდო-უმწიკვლოები არიან. მაგრამ, ერთნიც და მეორენიც საბოლოოდ პრაქტიკულად ერთსა და იმავე შედეგამდე

2. Menschanschauung (გერმ.) – შეხედულება ადამიანზე.

3. პანაცეა – უებარი საშუალება, რომელიც თითქოს ყველა შემთხვევაში შველის ადამიანს (პირველად – ყველა სენისთვის მარგებელი წამალი, რომელიც თითქოს ალქიმიკოსებს ჰქონდათ).

„აქტი“-ს მიერ გამოცემული
დ.ჰ. ლოურენსის წიგნები

1. ფანტაზია არაცნობიერის თემაზე
2. ფსიქოანალიზი და არაცნობიერი